ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მ ე ს ტ ი ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს ს ა კ რ ე ბ უ ლ ო ს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:g-135. 135223346
თარიღი:30/11/2022

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის, I- პუნქტის, ,,გ.ა" ქვეპუნქტის, ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" მესტიის მუნიციპალიტეტის 2017 წლის 22 ნოემბრის №24 დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-2 მუხლის, მე-4 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1. ცნობად იქნას მიღებული მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის უფროსის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ. ანგარიში, თანახმად დანართი № -1 სა (ანგარიში თან ერთვის).

2. მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის 2022 წელს გაწეული მუშაობა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად.

3. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიას.

4. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოქვეყნებისთანავე;

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N-12)**.

ზაურ ჩართოლანი

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
(მოვალეობის შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის ანგარიში

სარჩევი

1. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანი..... 3

2. აუდიტის გარემო და რისკების შეფასება..... 3

3. შიდა აუდიტის სამართლებრივი ჩარჩო..... 4

5. აუდიტორული შემოწმებები..... 4

6. მიგნებები და გაცემული რეკომენდაციები----------5

6.მონიტორინგი ---------- 10

შიდა აუდიტის სამსახურის მიზანი

შიდა აუდიტის სამსახური რისკზე ორიენტირებული მიდგომით განახორციელებს მარწმუნებელ და საკონსულტაციო საქმინობას და ამგვარად, ხელს შეუწყობს მერიის მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების შესრულებას. შიდა აუდიტის სამსახურის მიზანია აუდიტორული საქმიანობის განხროციელების გზით:

- მაქსიმალურად მოიცვას დაწესებულების სისტემაში არსებული ობიექტები, მათი მიზნები, პროგრამები და პროცესები;
- კონცენტრირება მოახდინოს დაწესებულების ძირითად და მნიშვნელოვან მიზნებზე;
- განახორციელოს შიდა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული მარწმუნებელი/საკონსულტაციო საქმიანობა;
- უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის მერიის, მისი სტრუქტურული ერთეულების და მის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების საქმიანობის კანონიერებისა და მიღწეული მიზნების შეფასება;
- განვითარდეს პროფესიულად და ინსტიტუციურად.

აუდიტის გარემო და რისკების შეფასება

შიდა აუდიტორული საქმიანობა ხორციელდება სამსახურის მიერ შემუშავებული აუდიტის გარემოს საფუძველზე, რომელიც მოიცავს სისტემაში არსებულ ყველა არსებულ სტრუქტურულ ერთეულს და შესაბამისობაშია აუდიტის გარემოს მასშტაბით სტრატეგიული დაგეგმვისას განხორციელებულ რისკის შეფასებასთან.

აუდიტორული შემოწმებები რისკის შეფასებაზე, აუდიტის სამსახურის რესურსების გათვალისწინებით შერჩევითად ტარდება .

სამართლებრივი ჩარჩო

აღნიშნული დოკუმენტი მომზადებულია შიდა აუდიტის მეთოდოლოგიის და შიდა აუდიტის სტანდარტების შესაბამისად და მისი შექმნის საფუძველს წარმოადგენს „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი და მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება.

შიდა აუდიტის სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, კერძოდ:

- ✓ *„სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ" საქართველოს კანონი;*
- ✓ *შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი;*
- ✓ *შიდა აუდიტის მეთოდოლოგია;*
- ✓ *შიდა აუდიტის სახელმძღვანელო პრინციპები;*
- ✓ *შიდა აუდიტის სტანდარტები;*
- ✓ *შიდა აუდიტის სამსახურის დებულება;*
- ✓ *შიდა აუდიტორთა ინსტიტუტის (IIA) სტანდარტები.*

ამასთან, შიდა აუდიტის სამსახური ჰარმონიზაციის ცენტრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიურ მითითებებს, ინსტრუქციებს და საერთაშორისოდ აღიარებულ სხვადასხვა პრაქტიკებს.

შიდა აუდიტორული შემოწმებები

2022 წლის პირველ ნახევარში მერიის შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 2 აუდიტორული შემოწმება:

1. მესტიის ზედამხედველობის სამსახურის შესაბამისობის აუდიტი.

2. ააიპ სპორტული ცენტრის ეფექტიანობის აუდიტი

აღნიშნული შემოწმების შედეგად შიდა აუდიტის სამსახურის მიერ გამოვლენილია რისკები და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები .

ზედამხედველობის სამსახურის შემოწმების პერიოდში დაიგეგმა მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის საქმიანობის მიზნების მისაღწევად განსაზღვრული პროცესების შემოწმება. შესამოწმებელი პერიოდი მოიცავს 2021 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 21 ნოემბერს დამტკიცებული განკარგულება N 55 ავარიული საცხოვრებელი სახლებისა და „მაჩუბების" სახურავების რეაბილიტაციის პროგრამა და ფინანსურ სანქციებს .

აუდიტის პროცესში მოხდა ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესწავლა/ანალიზი.

შიდა აუდიტის ჯგუფმა აუდიტის განხორციელების პროცესში განახორციელა როგორც დაგეგმვის, ასევე განხორციელების ეტაპზე ჩართულ მხარეებთან კომუნიკაცია/ინტერვიუები, რამაც ხელი შეუწყო პროცესების ადეკვატურად და ობიექტურად შეფასებას. აღნიშნულმა შესაძლებელი გახადა შიდა კონტროლის სისტემებსა და სხვა პროცესებში არსებული ხარვეზების გამოვლენა და რელევანტური რეკომენდაციების შემუშავება.

აუდიტის ჯგუფი :

ირინა ღვაჩლიანი	**ჯგუფის უფროსი**
ირინა გაბლიანი	**ჯგუფის წევრი**

აუდიტის მიგნებები და გაცემული რეკომენდაციები

მიგნება : 1. მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2018 წლის 21 ნოემბერს დაამტკიცა განკარგულება N 55 ავარიული საცხოვრებელი სახლებისა და „მაჩუბების" სახურავების რეაბილიტაციის შესახებ , რომელიც ითვალისწინებდა სიძველის ან სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისა და ახალაშენებული საცხოვრებელი სახლების , ასევე სვანური კოშკებისა და „მაჩუბების '' გადახურვის მიზნით გადასახური მასალის (თუნუქი/ყავარი) შესაძენად ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას.

პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელობა ეკისრება მესტიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურს. თანხის ოდენობას განსაზღვრავს მესტიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარისა და არაუმეტეს 2000 (ორიათასი) ლარი . გადაწყვეტილების მიღების მიზნით, მესტიის მუნიციპალიტეტის მერი ქმნის საბჭოს. პროგრამით დაკმაყოფილების მიზნით საბჭოსთან წარსადგენად დოკუმენტაციას თან უნდა ახლდეს მერიის ზედამხედველობისისა და არქიტექტურის, ინფრასტრუქტურისა და ურბანული განვითარების სამსახურების მიერ , ტერიტორიულ ერთეულებში მესტიის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან ერთად, ადგილზე დათვალიერების საფუძველზე შედგენილი აქტი, დეფექტური აქტი, მეორე ეტაპის სამუშაოების დამადასტურებელ ფოტოსურათებთან ერთად რწმუნებულის ან/და ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამოწმებული. მეორე ეტაპი გულისხმობს დაფინანსების მიზნით წარმოდგენილ შენობაზე გადახურვისთვის საჭირო შესაბამისი ხის კონსტრუქციის მოწყობის დასრულებას. პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული ოჯახები,

საცხოვრებელი სახლების გადასახურად შეიძენენ მუქი ნაცრისფერი შეფერილობის თუნუქის მასალას, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების- „მაჩუბების“ და კოშკების გადასახურად შეიძენენ „ყავარს“. შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს განახორციელებს მესტიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახური და სამ თვეში ერთხელ შესწავლილ შედეგებს ანგარიშის სახით წარუდგენს მესტიის მუნიციპალიტეტის მერს. 2021 წელს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიამ ამ მიზნით გასცა 667 490 ლარი.

2021 წელს შემოსულია 459 განცხადება, აქედან დაკმაყოფილებულია 363 განცხადება. განკარგულების შესაბამისად შემოსულ განცხადებას თან უნდა ახლდეს მეორე ეტაპის სამუშაოების დამადასტურებელი ფოტოსურათები დამოწმებული რწმუნებულის ან ზედამხედველობის სამსახურის მიერ, რაც გულისხმობს შენობაზე გადახურვისთვის საჭირო შესაბამისი ხის კონსტრუქციის მოწყობის დასრულებას. შემთხვევითობის პრინციპით შევარჩიეთ 44 განცხადება. გადამოწმებული განცხადებებზე უმეტეს შემთხვევაში არ არის დართული მეორე ეტაპის სამუშაოების დასრულების დამადასტურებელი ფოტოსურათები.

უმეტეს შემთხვევაში წარმოდგენილია ფოტოსურათები სადაც ჩანს მხოლოდ გაურკვეველი ხის კონსტრუქცია , ფოტოების მიხედვით რთულია იმის იდენტიფიცირება ნამდვილად საჭიროებდა თუ არა ეს შენობები გადახურვას. გადამოწმებული განცხადებების არცერთ დეფექტურ აქტზე კომისიის წევრებს ხელი არ აქვთ მოწერილი . შესწავლის შედეგად დადგინდა რომ არ აწარმოებენ დაფინანსებული სახლების მონიტორინგს , ვერ წამოადგენეს მონიტორინგის რაიმე დამადასტურებელი დოკუმენტი.

ვინაიდან გადამოწმებულ დოკუმენტებში ბევრი შეუსაბამობა იქნა აღმოჩენილი , გავზარდეთ შემოწმების მასშტაბი და შევისწავლეთ დამატებით 70 განცხადება , სადაც იგივე სახის შეუსაბამობები გამოვლინდა რაც წინა შესწავლილ დოკუმენტაციაში იყო . ჩვენს მიერ ასევე შესწავლილ იქნა მოქალაქეთა განცხადებები , რომლებმაც ვერ მიიღეს დაფინანსება . განცხადებები დაუარებულია გაურკვეველი მიზეზებით, ზედამხედველობის სამსახურის განმარტებით განცხადებები შემოსულია წლის ბოლოს და ბიუჯეტის ამოწურვის გამო ვერ მოხდა ამ განცხადებების დაკმაყოფილება , თუმცა განცხადებების უმეტესი ნაწილი შემოსულია აგვისტოში , სექტემბერში და ოქტომბერში . აქვე აღნიშნეს რომ დამატებით მიმდინარეობს დაუარებული განცხადებების შესწავლა და იმ შემთხვევაში თუ არ აღმოჩნდება შეუსაბამობა , მოხდება მათი დაფინანსება. ზედამხედველობის სამსახურის განმარტება დაუარებულ განცხადებებზე ლოგიკას არ ექვემდებარება, შესაბამისად მიღებული პასუხები არ ასახავს რეალობას.

განცხადებები ასევე შემოტანილია ძველი სვანური სახლების „მაჩუბების“ და კოშკების გადახურვის მიზნით, პროგრამის მიხედვით მაჩუბების და კოშკების გადახურვა უნდა მოხდეს „ყავარით“ , შესწავლილი დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეუძლებელია იმის დადგენა თუ რითი მოხდა ამ ძეგლების გადახურვა ან საერთოდ მოხდა თუ არა მათი გადახურვა.

შესწავლილი საქმეებიდან გამოვლინდა საკრებულოს N 55 განკარგულების უხეში (მრავალჯერადი) დარღვევა. დარღვეულია რამდენიმე პირობის ერთობლიობა. მესტიის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N 55-ის შესაბამისად არ ხდება შემოსული განცხადებებზე დართული დოკუმენტაციის წარმოდგენა სრულყოფილად. არ ხდება გადახურული სახლების მონიტორინგი . ვინაიდან სამსახური არ აწარმოებს გაცემული თანხების მიზნობრივი ხარჯვის მონიტორინგს და დაფინანსების გასაცემად საჭირო დოკუმენტაცია არ არის სრულყოფილი დიდია თანხების არამიზნობრივად გაცემის რისკი.

მიგნება : 2. სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად ყოველი შუალედური შესრულებული სამუშაოს კონტროლი ხდება გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენა და დარღვევის შედეგად შემსრულებლებს ეწერებათ საჯარიმო სანქცია. ზედმახედველობის სამსახურის 2021 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ კომპანიებთან რომლებმაც დაარღვიეს სახელშეკრულებო პირობები მომზადდა 14 სანქციის წერილი , მაგრამ ამ სანქციებიდან მხოლოდ ერთ შემთხვევაშია დასრულებული საჯარიმო სანქციების პროცესი , მოხდა ჯარიმის თანხის ამოღება . დანარჩენ 13 კომპანიასთან არც კი მოხდა სანქციის წერილის გაგზავნა . სამსახური უბრალოდ ამზადებს სანქციის წერილებს , მაგრამ წერილები ადრესატთან არ იგზავნება. როგორც ზედმახედველობის სამსახურთან ინტერვიუს დროს დავადგინეთ, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესაბამისად ყოველი შუალედური შესრულებული სამუშაოს კონტროლით ხდება გეგმა-გრაფიკთან შესაბამისობის დადგენა და დარღვევის შედეგად ეწერებათ საჯარიმო სანქციები.სამსახური არ ამზადებს სანქციის დაწესებისთვის შესაბამის დოკუმენტებს .
სამსახურის განმარტებით , როდესაც კომპანიები არ იხდიან დაწესებულ სანქციებს , აღნიშნული თანხის გამოქვითვა ხდება შესრულებული სამუშაოს ღირებულებიდან. ჩვენს მიერ დასმულ შეკითხვაზე როგორ იქცევიან იმ შემთხვევაში თუ ჯარიმის თანხა აღემატება დარჩენილ თანხას , ზედამხედველობის სამსახურს პასუხი არ აქვს.

მიგნება : 3. მესტიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურის 2021 წლის ანგარიშში არ არის ნახსენები გარემოს დაცვის , ვეტერინარული და კომუნალურ კეთილმოწყობაზე ზედამხედველობის განყოფილების მიერ განხორციელებული პროექტების და საქმიანობის შესახებ რაც მათ ევალებათ დებულებით . როგორც ინტერვიუს დროს განაცხადეს მათი საქმიანობა ძირითადად შემოიფარგლება იმით რომ ასრულებენ უშუალო უფროსისა და სხვა ზემდგომი ორგანოებიდან მიღებულ დავალებებს. სხვა სამსახურებთან კოორდინაციაში ახდენენ იმ დავალებებისა და წერილების დამუშავებას, რომლებიც სხვა სამსახურებსაც უკავშირდება (განყოფილება თანამშრომლობს მესტიის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახურთან).

რეკომენდაციები: 1. ზედამხედველობის სამსახურმა ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლების დახმარებით უზრუნველყოს წარმოადგინოს დაფინანსებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია , ფოტოსურათები სადაც გარკვევით იქნება ასახული შენობა-ნაგებობა , რომელიც ნამდვილად საჭიროებს გადახურვას და რომელზეც მეორე ეტაპის სამუშაოები ანუ გადასახურვისთვის საჭირო შესაბამისი ხის კონსტრუქცია იქნება დასრულებული. გააძლიეროს კომისიის მუშაობა და მონიტორინგის პროცესი, აწარმოონ გადახურული სახლების მონიტორინგი და შეადგინონ მონიტორინგის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ფოტოსურათები , დათვალიერების ოქმები და ა. შ) განხორციელებული

მონიროტინგის შემდეგ მესტიის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის სამსახურმა სამ თვეში ერთხელ შედეგები ანგარიშის სახით წარუდგინოს მერს.

2. ზედამხედველობის სამსახურმა შეიმუშაოს შესაბამისი წესი საჯარიმო სანქციების დაწესების შესახებ , შექმნას სანქციის დაწესებისთვის შესაბამისი დოკუმენტაცია , მოახდინოს დაჯარიმებული კომპანიის ინფორმირება (გაუგზავნოს გამაფრთხილებელი წერილი) , გაუგზავნოს სანქციის წერილები . კონტროლის და ზედამხედველობის განხორციელების დროს სავალდებულოა მერიის იმ სამსახურებთან შეთანხმება და ისეთი ღონისძიებების გატარება , რომლებიც სამუშაოთა შესრულების მიღება-ჩაბარების აქტების კანონიერებას უკავშირდება. სამსახური ანგარიშვალდებულია მერიის უმაღლესი ორგანოების წინაშე, გარდა წლიური ანგარიშისა , სამსახურის მიერ გამოვლენილ დარღვევებზე სამსახურის უფროსმა შესაბამისი გადაწყვეტიების პროექტი წარუდგინოს მერს.

3. დაევალოს გარემოს დაცვის , ვეტერინარული და კომუნალურ კეთილმოწყობაზე ზედამხედველობის განყოფილებას მიმდინარე წლის ანგარიშში აუცილებლად იყოს შეტანილი მათ მიერ განხორციელებული პროექტები და ინფორმაცია მათი საქმიანობის შესახებ . მეტი ყურადღება დაეთმოს დებულებით განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას გარემოს დაცვით , ვეტერინალურ და კომუნალური კეთილმოწყობის საკითხებში. თანამშრომლებს შორის განაწილდეს დავალებები მათი ფუნქციების შესაბამისად და სამუშაო გეგმის მიხედვით განხორციელდეს დავალებათა შესრულების კონტროლი.

ააიპ სპორტული ცენტრში ეფექტიანობის აუდიტი განხორციელდა მესტიის მუნიციპალიტეტის მერის დავალების საფუძველზე , სპორტული ცენტრის საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების და სუსტი მხარეების გამოსავლენად.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ შესწავლილ იქნა მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის სტრუქტურა , ბიუჯეტის ხარჯვის ეფექტურობა , განხორციელებული ღონისძიებები და შედეგები. შესწავლის შედეგად გამოვლინდა გარკვეული სახის ნაკლოვანებები და სისუსტეები: კერძოდ , სამსახური არ ახორციელებს მის საქმიანობას სამსახურის წესდების შესაბამისად , ააიპ სპორტული ცენტრს არ აქვს ჩამოყალიბებული მწვრთნელთა საბჭო , რომელიც შედგება მწვრთნელ -პედაგოგებისაგან და რომელმაც უნდა შეიმუშავოს სპორტული ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები . სამსახურს არ აქვს შედგენილი წლის დასაწყისში სპორტული ცენტრის გეგმები ადეკვატურად , მის მიერ წარმოდგენილ ანგარიშებში არ არის ნახსენები სამსახურის სამომავლო გეგმები და ღონისძიებები, ანგარიშებში საუბარია მხოლოდ ბიუჯეტის ხარჯვაზე . მესტიის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის 2020 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 700 000 ლარი , აქედან შრომის ანაზღაურებაზე დაიხარჯა 534 100 ლარი , როგორც გასვლით ისე სპორტულ ღონისძიებებზე დახარჯულია 4 725 ლარი . სულ

აღნიშნულ პერიოდში გასვლითი ღონისძიებების რაოდენობამ სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეადგინა 3 ერთეული , ხოლო ადგილზე ჩატარდა 1 სპორტული ღონისძიება.

2021 წლის ბიუჯეტმა შეადგინა 850 597 ლარი აქედან შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 603 132 ლარი , გასვლით და ადგილობრივ ღონისძიებებში დაიხარჯა 29 295 ლარი .აღნიშნულ პერიოდში გასვლითი ღონისძიებების რაოდენობამ სპორტის სხვადასხვა სახეობაში შეადგინა 8 ერთეული, ხოლო ადგილზე ჩატარდა მხოლოდ 1 ღონისძიება.

2020-2021 წლების შესწავლილი მასალებიდან ჩანს , რომ ბიუჯეტის უმეტესი ნაწილი იხარჯება შრომით ანაზღაურებაზე , ეს თანაფარდობა არაეფექტურია და მიუთითებს იმაზე რომ სპორტულ ცენტრში საშტატო ერთეულების რაოდენობა ბევრად ჭარბობს რეალურ საჭიროებას . სპორტულ ცენტს ყავს მწრთვნელ-პედაგოგები სპორტის სხვადასხვა სახეობებში , შედეგებიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას რომ ამ სახეობებიდან მხოლოდ რამოდენიმეში მიმდინარეობს სასწავლო - საწრთვნელი პროცესი აქტიურად . სპორტული ცენტრი მონაწილეობს ძირითადად გასვლით , სხვის მიერ დაორგანიზებულ ღონისძიებებში , საკუთარი ღონისძიებები 2020-2021წლებში ჩატარებული აქვს მხოლოდ ორჯერ . 2 წლის მთლიანი დაფინანსებიდან დაახლოებით 2.3% დახარჯეს ღონისძიებებში , დანარჩენი დაიხარჯა შრომის ანაზღაურებაში და სხვა ხარჯებში.

რეკომენდაციები: დაევალოს სპორტული ცენტრს შექმნას ააიპ-ის პედაგოგთა (მწვრთნელთა) საბჭო , რომლის შემადგენლობაშიც შევა სპორტული ცენტრის ყველა პედაგოგი (მწრთნელი) . სპორტის სამინისტროს მიერ დამტკიცებული ზოგადი მეთოდიკისა და ეროვნული სასპორტო-საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად საბჭომ შეიმუშაოს და დასამტკიცებლად წარუდგინოს დირექტორს სასპორტო სკოლის სასწავლო და სასპორტო-საწვრთვნელი გეგმა და რეკომენდაციები , მონაწილეობა მიიღოს წლიური შედეგების განხილვაში, განსაზღვროს სპორტული ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტული მიმართულებები , განახორციელოს ღონისძიებები , რომელიც ხელს შეუწყობს სპორტული ცენტრის მიზნების და ამოცანების ხარისხიანად და ეფექტურად განხორციელებას , ჯანსაღი ცხოვრების პროპაგანდას და მის დამკვიდრებას. საბჭოს გადაწყვეტილებები გააფორმოს სხდომის ოქმით და წარუდგინოს ხელმძღვანელს , რომელიც ვალდებულია გაითვალისწინოს პედაგოგთა საბჭოს რეკომენდაციები. დაევალოს ააიპ სპორტულ ცენტრს თანამედროვე საწრთვნელი პროცესის დანერგვით , საკუთარი სპორტული კალენდრის შემუშავებით და შესრულებით შექმნას სპორტული მომზადების ეფექტური სისტემა,შემუშავებულ იქნას მოსწავლე-ახალგაზრდობის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში სხვადასხვა სპორტულ სახეობაში ღონისძიებების კონკრეტული გეგმა, რომელიც იქნება ადეკვატური სიხშირის , რითაც უზრუნველყოფილი იქნება სპორტული ცენტრის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება. თავისი მიზნების და ამოცანების შესასრულებლად განახორციელოს სკოლისგარეშე სასპორტო-საწრთვნელი საქმიანობა სპორტის ყველა იმ სახეობაში , რომელიც გათვალისწინებულია სამსახურის წესდებით , განახორციელოს საწრთვნელი და თეორიული მომზადებები და ინდივიდუალური წესით მეცადინეობები , დანერგოს კონტროლის მექანიზმები საბიუჯეტო სახსრების ადეკვატურად და მიზნობრივად ხარჯვაზე , დაგეგმოს და განახორციელოს სხვადასხვა ღონისძიებები რაც ხელს შეუწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას და მის დამკვიდრებას მოზარდ თაობაში , ბავშვთა და მოზარდთა ჩაბმას სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ

მოძრაობაში , სპორტული ცენტრის პროფილის შესაბამისად მათ მეთოდურ აღზრდას და დაოსტატებას.

შიდა აუდიტის ობიექტებს ჰქონდათ შესაძლებლობა, გონივრული ვადის ფარგლებში, დაეფიქსირებინათ თავისი მოსაზრებები და შენიშვნები ანგარიშის პროექტში ასახულ მიგნებებთან და გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით . აუდიტის ობიექტები ეთანხმებიან შიდა აუდიტის სამსახურის მიერ აღმოჩენილ რისკებს და გაცემულ რეკომენდაციებს და განახორციელებენ ღონისძიებებს ამ რეკომენდაციების შესასრულებლად რაც უფრო პროდუქტიულს და ეფექტიანს გახდის მათ საქმიანობას.

მონიტორინგი

შიდა აუდიტის სამსახური ახორციელებს გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს , რომლის მიზანია უზრუნველყოფილი იყოს შემოწმებების შედეგად შემუშავებული სამოქმედო გეგმების განხორციელების მდგომარეობის კონტროლი.